თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2016 წლის 14 იანვრის სხდომის ოქმი #1

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 20, სტუდენტები – 0, სულ –20 წევრი.

დღის წესრიგი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის გასაზღვრული სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ.

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/

2. 2015-2016 სასწავლო წლის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსებში ,,ეკონომიკური დოქტრინები“ და ,,ევროკავშირის ეკონომიკა“ შეფასების კომპონენტების ცვილებების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

3. 2015-2016 სასწავლო წლის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მოდულში ,,მარკეტინგი“ სტრუქტურის ცვლილების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

4. 2015-2016 სასწავლო წლის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მოდულში ,,ტურიზმის მენეჯმენტი“ სტრუქტურის ცვლილების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

5. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2015 წლის ანგარიშის შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

6. მიმდინარე საკითხები.

სხდომის თვმჯდომარემ, დეკანმა თ. ბერიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 20
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2016 წლის 14 იანვრის #1 სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: 1993 წელს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სტატისტიკის (დღე) და პოლიტეკონომიის (დღე) სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის (მ.შ. კობა ნაყოფია) დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენისა და კობა ნაყოფიას დიპლომის დანართისთვის სახელმწიფო გამოცდებში შეფასებების აღდგენის შესახებ.

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ თსუ-ს დიპლომის შეცვლის თაობაზე განცხადებით მომართა ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის 1993 წლის კურსდამთავრებულ ***კობა ნაყოფიამ,*** დიპლომისა და დიპლომის დანართის დაკარგვის გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კობა ნაყოფიას სახელზე უნდა გაიცეს ახალი დიპლომი, რომლიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივნისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს ჩარიცხვის ბრძანებისა და აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიული დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისიწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებული აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შექმნილმა

მუდმივმოქმედმა კომისიამ ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება. წარმოგიდგენთ საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას:

კობა ეროდიონის ძე ნაყოფია 1986 წელს ჩაირიცხა თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების სტატისტიკის სპეციალობაზე (ბრძანება №4/625, 24.08.1986). სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გამო 1987 წლის ივლისიდან პირველი კურსის სტუდენტს კობა ნაყოფიას მიეცა აკადემიური შვებულება (ბრძანება №4/2069, §12, 14.11.1987), ხოლო 1989 წელს საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებული მეორე კურსის სტუდენტი კობა ეროდიონის ძე ნაყოფია ჩაითვალა აკადემიური შვებულებიდან დაბრუნებულად (ბრძანება №4/483, §8, 23.06.1989).

ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1993 წლის 16 ივნისის სხდომის (ოქმი უნომრო) გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებით (№4/713, 07.09.1993) ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების სტატისტიკის სპეციალობის კურსდამთავრებულ კობა ეროდიონის ძე ნაყოფიას მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია და მიეცა დიპლომი წარჩინებითი.

საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 1993 წელს ეკონომიკის ფაკულტეტზე მოქმედებდა ოთხი კომისია, რომელთა მიერ წარმოებულია ეკონომიკის ფაკულტეტის დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სწვადასხვა სპეციალობებში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის 23 ოქმი. ყველა ოქმზე მითითებულია თარიღი, მაგრამ არ არის დანომრილი.

პირველი კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: შ. ბენია; წევრები: გ. ადეიშვილი, ბ. გაბიძაშვილი, რ. გოგოხია, პ. ლემონჯავა, მ. ტურავა)* მიერ1993 წლის 16 ივნისს წარმოებულია 2 ოქმი და არც ერთ ოქმს არ აქვს მინიჭებული ნომერი.

მეორე კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ნ. ქავთარაძე, ნ. ბაგრატიონი, თ. ციგროშვილი)* მიერ წარმოებულია 8 ოქმი. აქედან 1993 წლის 23 ივნისს წარმოებული 7 ოქმიდან სამ ოქმს მინიჭეული აქვს №1, ხოლო ოთხი ოქმი არ არის დანომრილი. რაც შეეხება, ბოლო, მე-8 ოქმს, იგი წარმოებულია 1993 წლის 23 რიცხვში (სამწუხაროდ აღნიშნულ ოქმზე არ არის დაფიქსირებული თვე) და მინიჭებული აქვს №31.

მესამე კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: თ. ნ. ჩიკვაიძე; წევრები: თ. ა. ჭიაბრიშვილი, ლ. გ. ჯოხაძე, ჰ. შ. ყარაშვილი)* მიერ 1993 წლის 25 ივნისს წარმოებულია 5 ოქმი და ყველას მინიჭებული აქვს ნომერი (ოქმი №15).

მეოთხე კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ნოეს ძე საღარეიშვილი, მედეა ვალერიანის ას. გოცირიძე, ივანე ივანეს ძე გიგოშვილი)* მიერ 1993 წლის 23 ივნისს წარმოებულია 8 ოქმი და არც ერთ ოქმს არ აქვს მინიჭებული ნომერი.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, კომისიების მიერ წარმოებული ოქმების დანომვრა ხდებოდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ამასთან, მიზანშეწონილია ოქმების დანომვრა განხორციელდეს თარიღების მიხედვით. თუ

კომისიას ერთი და იმავე თარიღით ექნებათ რამდენიმე ოქმი წარმოებული, მაშინ მხედველობაში მისაღებია სხვა მონაცემებიც.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2015 წლის 26 ნოემბრის საბჭოს სხდომაზე დღის წესრიგში დადგა საკითხი მეოთხე კომისიის მიერ წარმოებული უნომრო ოქმების შესახებ. ამჟამად, განვიხილავთ პირველი კომისიის მიერ წარმოებულ უნომრო ოქმებს. კომისიის მიერ უნდა მოხდეს ამ უნომრო ოქმებისთვის (გადაწყვეტილებებისთვის) ნომრების მინიჭება და ნომრის პირობითობის აღსანიშნავად ასო „პ“-ს დამატება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თსუ არქივიდან წამოდგენილ დოკუმენტებში მოძიებული იქნა კობა ოროდიონის ძე ნაყოფიას სახელზე წარმოებული დიპლომის დანართი, რომლზეც არ არის დაფიქსირებული დიპლომის ნომერი, არცერთი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა და თსუ უნივერსიტეტის ბეჭედი. მხოლოდ დაფიქსირებულია კანცელარიის ბეჭედი, რაც ადასტურებს იმას, რომ ეს არის დიპლომის დანართის ე.წ. „შავი“ პირი და იგი ინახებოდა კურსდამთავრებულ კობა ნაყოფიას პირად საქმეში.

დიპლომის დანართის გადამოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ არ არის დაფიქსირებული სახელმწიფო გამოცდებში მიღებული შეფასებები, სადიპლომი ნაშრომის თემა და შეფასება. ფაკულტეტზე გადამოწმდა 1993 წელს ეკონომიკის ფაკულტეტის მიერ წარმოებული აკადემიური მოსწრების ჟურნალები. სამწუხაროდ, ჟურნალში არ არის აღნიშნული არც სახელმწიფო გამოცდების შეფასებები და არც სადიპლომი ნაშრომზე ინფორმაცია. აღნიშნული ინფორმაცია არ არის დაფიქსირებული არც სტუდენტის სასწავლო ბარათში.

ფაკულტეტმა მოიძია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ 1993 წელს ეკონომიკის ფაკულტეტის სტატისტიკის სპეციალობის კურსდამთავრებულება დაიცვეს სადიპლომი ნაშრომი, თუ ჩააბარეს სახელმწიფო გამოცდები. კერძოდ, გადამოწმდა, ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1993 წლის 16 ივნისის სხდომის ოქმში მითითებული იმ კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები და დიპლომის დანართები, რომელთაც მიეცათ წარჩინებითი დიპლომი. კერძოდ, ზვიად იაშას ძე ბართაია და მაია პეტრეს ასული გიქოშვილი. თსუ არქივმა ფაკულტეტს მოაწოდა ზვიად ბართაიას და მაია გიქოშვილის სახელზე მომზადებული დიპლომის დანართები, საიდანაც ირკვევა, რომ 1993 წელს ეკონომიკის ფაკულტეტის სტატისტიკს სპეციალობის კურსდამთავრებულებს ხარისხი მიენიჭა სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების საფუძველზე. მათ სახელმწიფო გამოცდები ჩააბარეს შემდეგ საგნებში: „სტატისტიკის ზოგადი თეორია“ და „ეკონომიკური სტატისტიკა“. იმ პერიდოდში არსებული რეგულაციებით, წარჩინებითი დიპლომი არ მიეცემოდა კურსდამთავრებულს, თუ იგი სახელმწიფო გამოცდაში არ დაიმსახურებდა შეფასებას „ფრიადი“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ კობა ნაყოფიას, სახელმწიფო გამოცდებში (საგნები: „სტატისტიკის ზოგადი თეორია“ და „ეკონომიკური სტატისტიკა“) დაუფიქსირდეს შეფასება „ფრიადი“.

აღნიშნულ საკითხან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 20;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს:

1.1. აღდგენილად ჩაითვალოს 1993 წელს ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული სტატისტიკის (დღე) და პოლიტეკონომიის (დღე) სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განიზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***სტატისტიკის*** სპეციალობის კურსდამთავრებულთ (მ.შ. კობა ნაყოფია) ***ეკონომისტის*** კვალიფიკაციის ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1993 წლის 16 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1993 წლის 16 ივნისი*** და ნომრად ***№1/3***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ***პოლიტეკონომიის*** სპეციალობის კურსდამთავრებულთ ***ეკონომისტის, პოლიტიკური ეკონომიის მასწავლებლის*** კვალიფიკაციის ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1993 წლის 16 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1993 წლის 16 ივნისი*** და ნომრად ***№2/3***.

1.2. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის მიერ პირველი კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: შ. ბენია; წევრები: გ. ადეიშვილი, ბ. გაბიძაშვილი, რ. გოგოხია, პ. ლემონჯავა, მ. ტურავა)* მიერ 1993 წლის 16 ივნისს წარმოებულ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმებში *(იხ. 1993 წლის 16 ივნისის ეკონომიკის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები)* მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

2.1. რეგულაციებიდან (რომელიც ითვალისწინებდა წარჩნებითი დიპლომის მიღების პირობებს) გამომდინარე, აღდგენილი იქნეს სახელმწიფო გამოცდების შეფასებები. კერძოდ, კობა ნაყოფიას სახელზე გაიცეს დიპლომის დანართი და სახელმწიფო გამოცდებში (საგნები: „სტატისტიკის ზოგადი თეორია“ და „ეკონომიკური სტატისტიკა“) აისახოს შეფასება „ფრიადი“.

მოისმინეს: 2015-2016 სასწავლო წლის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსებში „ეკონომიკური დოქტრინები“ და „ევროკავშირის ეკონომიკა“ შეფასების კომპონენტების ცვილებების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ–მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველოფის სამსახურში შემოსულია ეკონომიკის მიმართულების პროფესორების #3 სხდომის ოქმის ამონაწერი (24.12.2015), რის საფუძველზეც მან საბჭოს წევრების წინაშე დააყენა საკითხი: ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის 2015–2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი) სილაბუსებში „ეკონომიკური დოქტრინები“ და „ევროკავშირის ეკონომიკა“ შეფასების კომპონენტების ცვლილებები.

აღნიშნულ საკითხან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 20;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: 2015-2016 სასწავლო წლის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსებში „ეკონომიკური დოქტრინები“ და „ევროკავშირის ეკონომიკა“ შეფასების კომპონენტებში შევიდეს აღნიშნული ცვლილებები.

მოისმინეს: 2015-2016 სასწავლო წლის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მოდულში „მარკეტინგი“ სტრუქტურის ცვლილების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ–მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ 2015–2016 სასწავლო წლის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის გეგმის მარკეტინგის მოდულში გათვალისწინებულია ცვლილება. კერძოდ, სავალდებულო სასწავლო კურსი ,,მომხმარებელთა ქცევა–1“ შეიცვალა სასწავლო კურსით ,,გაყიდვების საფუძვლები“. აღნიშნულ სასწავლო კურსთან დაკავშირებით წარმოდგენილია სილაბუსი (ავტორი ასისტ. პროფ. მ. სეთური).

აღნიშნულ საკითხან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 20;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს:

1. 2015–2016 სასწავლო წლის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის გეგმაში მარკეტინგის მოდულის სტრუქტურაში სავალდებულო სასწავლო კურსი ,,მომხმარებელთა ქცევა–1–ის“ ნაცვლად შევიდეს ,,გაყიდვების საფუძვლები“.
2. წარმოდგენილი ცვლილება შევიდეს ყველა მიმდინარე სასწავლო გეგმის სტრუქტურაში.

მოისმინეს: 2015-2016 სასწავლო წლის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მოდულში ,,ტურიზმის მენეჯმენტი“ სტრუქტურის ცვლილების შესახებ.
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ–მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების პროფესორების #2 სხდომის ოქმის ამონაწერი (25.12.2015), რის საფუძველზეც მან საბჭოს წევრების წინაშე დააყენა საკითხი: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მოდულში ,,ტურიზმის მენეჯმეტი“ სასწავლო კურსი ,,გიდის ბიზნესი“ შეიცვალოს სასწავლო კურსით ,,კულტურული ტურიზმი“ (სილაბუსის ავტორი ისტ. მეცნიერებათა დოქტორი გიორგი მჭედლიშვილი).

აღნიშნულ საკითხან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 20;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: 2015-2016 სასწავლო წლის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მოდულში „ტურიზმის მენეჯმენტი“ სასწავლო კურსი „გიდის ბიზნესი“ შეიცვალოს სასწავლო კურსით „კულტურული ტურიზმი“.

მოისმინეს: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2015 წლის ანგარიშის შესახებ.
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს ელექტრონული ფოსტით გადაეგზავნათ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2015 წლის ანგარიში. მან მადლობა გადაუხადა სამსახურის სპეციალისტს, ი. ნაცვლიშვილს აღნიშნული ანგარიშის მომზადებაში გაწეული მუშაობისთვის.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

მოისმინეს: პროფესორ იური ანანიაშვილისთვის ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედლის მინიჭების შესახებ.
/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი თ. ბერიძე/

ფაკულტეტის დეკანმა ხაზი გაუსვა პროფესორ ი. ანანიაშვილის დიდ ღვაწლს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წინაშე სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის თვალსაზრისით და საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი პროფესორ იური ანანიაშვილისთვის ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედლის მინიჭების შესახებ.

აღნიშნულ საკითხან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 20
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. მიენიჭოს პროფესორ მირიან ტუხაშვილს ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედალი.
2. ეთხოვოს თსუ აკადემიური საბჭოს შუამდგომლობა აღნიშნული საკითხის დასამტკიცებლად.

მოისმინეს: ასოც. პროფესორ ჩარიტა ჯაშისთვის უნივერსიტეტის მედლის მინიჭების შესახებ.

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი თ. ბერიძე/

ფაკულტეტის დეკანმა ხაზი გაუსვა ასოც. პროფესორ ჩ. ჯაშის ღვაწლს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წინაშე სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის თვალსაზრისით და საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი ასოც. პროფესორ ჩ. ჯაშისთვის უნივერსიტეტის მედლის მინიჭების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ნ. თოდუამ, თ. შენგელიამ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 20;

წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს:

1. მიენიჭოს ასოც. პროფესორ ჩარიტა ჯაშს უნივერსიტეტის მედალი.
2. ეთხოვოს თსუ აკადემიური საბჭოს შუამდგომლობა აღნიშნული საკითხის დასამტკიცებლად.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე თ. ბერიძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს სწავლული მდივანი მ. ნაცვალაძე